

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთი მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ხელმისაწვდომია ასევე ინგლისურად

რა სარგებელს მოიტანს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესრულება საქართველოს ბუნებისთვის

რეზიუმე

წინადადება რე საქართველოს პოლიტიკის ნარკვევის მიზანია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ბუნების დაცვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, არსებული პრობლემებისა და გამონაკლისების დამოუკიდებელი შეფასება, მათი გადაჭრის გზების დასახვა და მათი აღდგოვითი ღონისძიება. კვლევა აჩვენებს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ასევე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს კანონების „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ და „ტყის კოდექსი“ პროექტების დამტკიცება და შემდგომში მათი აღსრულება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონპროექტები კვლავაც დახვეწას მოითხოვს, შესამუშავებელია კანონქვემდებარე რეგულაციებიც. საჭიროა ქვეყნის განვითარების სტატეგიაში, ადრეულ ეტაპებზევე მოხდეს აღნიშნულ კანონპროექტებში განსაზღვრული, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საკითხების ინტეგრაცია. სწორი სივრცული დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვის პირობებში, სავსებით რეალისტურია, რომ 2020 წლისათვის ქვეყნის ტერიტორიის არანაკლებ 12% დაფარული იქნეს მაღალი სტატუსის დაცული ტერიტორიებით (ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები). ხოლო დაცვის შედარებით რბილი რეჟიმის გამოყენებით („ზურმუხტის ქსელი“, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები, ბიოსფერული რეზერვატები) განხორციელებულ კონსერვაციული პროექტებთან ერთად, დაცულმა ტერიტორიებმა შესაძლოა საქართველოს სახმელეთო ფართობის 17%-ს მიაღწიონ.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ ბუნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც აყალიბებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ფარგლებს. ამ ხელშეკრულებით, საქართველო იღებს ვალდებულებას, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში. შეთანხმებაში (დანართი XXVI, „გარემო“) ცალკე არის გამოყოფილი თავი „ბუნების დაცვა“, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ორი დირექტივის მოთხოვნებთან. ეს დირექტივებია: 2009 წლის 30 ნოემბრის ეროპარლამენტისა და საბჭოს 2009/147/EC დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“ და 1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EC დირექტი-

ვა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“, 97/62/EC, 2006/105/EC დირექტივების და (EC)N1882/2003 რეგულაციის მიერ შეტანილი შესწორებების შესაბამისად¹.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება „ბურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბებას; ამ ქმედების წარმატებაზე დამოკიდებულია არა მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულების ამ ნაწილის (დანართი XXVI, „გარემო“, „ბუნების დაცვა“) საკითხების განხორციელება, არამედ არაერთი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებითა და ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას და ადამიანების კეთილდღეობას.

ხაზგასასმელია, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 233-ე მუხლის მიხედვით, საქართველომ აიღო ახალი „ტყის კოდექსის“ შემუშავების ვალდებულება.

„ბურმუხტის ქსელი“ და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკა

„ბურმუხტის ქსელი“ – „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (ბერნი, 1979), ანუ “ბერნის კონვენციის” ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი მიზანია კონვენციის წევრ ქვეყნებში² ფლორისა და ფაუნის და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატების) დაცვისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა. კონვენცია ძირითად აქცენტს აკეთებს მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მონყვლადი (შორის, მიგრირებადი) სახეობების დაცვაზე. გარდა ამისა, ქვეყნებმა განვითარების პროგრამების დაგეგმვისას, უნდა გაითვალისწინონ ველური სახეობებისა და მათი ჰაბიტატების კონსერვაციის აუცილებლობა; არ დაუშვან კონვენციით დაცული სახეობების პოპულაციების შემცირება, მათი ბუნებრივი ჰაბიტატების განადგურება და დაბინძურება³. ბერნის კონვენცია მის თითოეულ წევრ ქვეყანას ავალდებულებს „ბურმუხტის ქსელის“ განვითარებას. „ბურმუხტის ქსელი“ შედგება „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებისგან“ (**Areas of Special Conservation Interest-ASCI**), ანუ ე.წ. „ბურმუხტის საიტებისგან“. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, აქვთ ანალოგიური ეკოლოგიური ქსელი **“ნატურა 2000”**. ვინაიდან ბერნის კონვენციას მიერთებული არიან არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნები, „ნატურა 2000“ „ბურმუხტის ქსელის“ ნაწილად განიხილება.

იმისათვის, რომ ტერიტორია გამოცხადდეს „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიად“ („ბურმუხტის საიტი“), მან უნდა დააკმაყოფილოს სულ მცირე ერთი კრიტერიუმი: უზრუნველყოფდეს კონვენციით დაცული საფრთხის წინაშე მყოფი (მათ შორის მიგრირებადი) სახეობების დაცვას; ხასიათდებოდეს მაღალი ბიომრავალფეროვნებით; მოიცავდეს (ამჟამად ან წარსულში) ბერნის კონვენციით განსაზღვრული ტიპის ჰაბიტატებს ან მათ ფრაგმენტებს; განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდეს მიგრირებადი სახეობებისთვის და/ან ბერნის კონვენციის ამოცანების შესრულებისათვის. ხაზი უნდა გაესვას, რომ როგორც „ნატურა 2000-ის“, ისე „ბურმუხტის ქსელის“ საიტები შესაძლოა არ იყვნენ მკაცრად დაცული ტერიტორიები. მათ შემადგენლობაში, შესაძლოა შედიოდეს ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი და სხვ. თუმცა, როგორც წესი, “ბურმუხტის ქსელის” საიტებში არ არის აუცილებელი, რომ შეზღუდული იქნას სამეურნეო საქმიანობები და მოქმედებდეს მკაცრი აკრძალვები. საიტების უმრავლესობა შექმნილია კონკრეტული ჰაბიტატის ან სახეობის დასაცავად და შეიძლება მოიცავდეს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებსაც. ასეთი ტერიტორიების უმრავლესობაზე გრძელდება სამეურნეო საქმიანობა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელიც გახდეს მათი ნაწილობრივი ან მთლიანი შეზღუდვა, რათა არ მოხდეს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების განადგურება, რომელთა დასაცავადაც არის შექმნილი მოცემული „ბურმუხტის საიტი“. ეს შეზღუდვები განისაზღვრება მოცემული საიტის მენეჯმენტის გეგმით და ყოველთვის კონკრეტული ხასიათი აქვს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახეობებისა და ჰაბიტატების შენარჩუნება, უმეტეს შემთხვევებში, თავსებადია გარკვეული სახის ეკონომიკურ საქმიანობასთან. უფრო მეტიც, ზოგან შესაძლებელია ადამიანის სამეურნეო საქმიანობა

¹ აღნიშნულ დირექტივებთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების შესახებ იხილეთ პირველ დანართში.

² „ბერნის კონვენცია“ საქართველოში რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 30 დეკემბერის N940-რს დადგენილებით, საქართველოში ძალაშია 2010 წლის 1 მარტიდან.

³ ბერნის კონვენციის დანართი I მოიცავს ჰაბიტატების, ხოლო დანართი II – სახეობების ჩამონათვალს, რომელთა მიმართ აუცილებელია კონსერვაციული ღონისძიებების გატარება.

აუცილებელიც კი იყოს იმისათვის, რომ ზურმუხტის საიტმა ნორმალური ფუნქციონირება გააგრძელოს და არ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა სახეობებისა თუ ჰაბიტატების შესანარჩუნებლად⁴.

ჩვენი ქვეყნისათვის „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია პოლიტიკური თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებს, რომელთაც შექმნილი ჰქონდათ „ზურმუხტის ქსელი“ (ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი), ევროკავშირში განევრიანების შემდეგ გაუადვილდათ „ნატურა 2000-ის“ ქსელის შექმნა, რაც ევროკავშირის წევრობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ევროპაში „ზურმუხტის ქსელის“ განვითარება 1989 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. საქართველოში წინასწარი პროცესი 2003 წელს დაიწყო, თუმცა ძირითადი ქმედებები 2009 წლიდან მიმდინარეობს. „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო სამეცნიერო ინფორმაციის შეგროვებასა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შედგენას ახორციელებს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“. დღეისათვის იდენტიფიცირებულია 34 პოტენციური „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია“, გამოვლენილია ბერნის კონვენციით დაცული, საქართველოში გავრცელებული ფლორისა და ფაუნის 125 სახეობა და 27 ჰაბიტატი. ამ სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის მომზადებული მონაცემთა ბაზები და რუკები შეფასებისთვის წარდგენილია ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსა და ბერნის კონვენციის სეკრეტარიატისთვის. წლის ბოლომდე უნდა მოხდეს შესაბამისი „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების“ საბოლოო ნუსხის შედგენა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზის დასრულება. შერჩეულ საიტებს მიეცემათ „ზურმუხტის ქსელში“ ჩასართავი კანდიდატი საიტის სტატუსი. 2017-2020 წლებში „ზურმუხტის ქსელი“ საბოლოოდ დაარსდება და დაიწყებს ფუნქციონირებას. ამა თუ იმ კანდიდატი საიტისთვის „ზურმუხტის ქსელის“ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების“ სტატუსის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ინფორმაცია წარედგინება ევროკომისიას. ამით საქართველოს მთავრობა პასუხისმგებლობას აიღებს „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების“ მდგომარეობასა და იქ მოხდინადრე სახეობების გრძელვადიან გადარჩენაზე⁵.

„ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბება ასევე შედის საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის - ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის⁶ პრიორიტეტებში. ქვეყნის ერთ-ერთი ეროვნული მიზანს (ეროვნული მიზანი C.4.) წარმოადგენს: „2020 წლისთვის, დაცული ტერიტორიები მოიცავს ქვეყნის სახმელეთო ფართობის სულ მცირე 12%-ს და შავი ზღვის აკვატორიის - 2.5%-ს⁷. ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის ტერიტორიების მართვა ხორციელდება ეფექტიანი, ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი სისტემისა და სხვა ეფექტიანი კონსერვაციული ღონისძიებების მეშვეობით; მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა და მისი ინტეგრირება ფართო სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებში“. ამ სტრატეგიული მიზნის შესრულებისათვის დადგენილებით განსაზღვრულია რამდენიმე ამოცანის შესრულება, მათ შორის: „ამოცანა C.4-02. დაცული ტერიტორიების ეროვნული ქსელის დაგეგმვა; ამოცანა C.4-03. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის გაზრდა; ამოცანა C.4-04. დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბების ინიცირება“. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს შემდეგი ქმედებების განხორციელებას: „ქმედება C.4-04.1. ეკოლოგიური დერეფნების შექმნის ინიცირება დაცული ტერიტორიების ეროვნული კატეგორიების გათვალისწინებით - 2015-2020 წწ. ქმედება C.4-04.2. „ზურმუხტის ქსელის“ შექმნა - 2014-2017 წწ.“

⁴ www.nacres.org

⁵ www.nacres.org

⁶ „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N343, 08.05.2014 დადგენილებით

⁷ საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა შემუშავებულია 2010 წელს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის მხარეთა მე-10 კონფერენციაზე (ნაგოია, იაპონია, აიჩი) მიღებული „ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის 2011-2020“ შესაბამისად. კონვენციამ დასახა 20 გლობალური მიზანი, ე.წ. „ბიომრავალფეროვნების აიჩის მიზნები“ (Biodiversity Aichi Targets). მე-11 მიზნის თანახმად, 2020 წლისთვის, სახმელეთო და შიდა წყლების მინიმუმ 17 % და სანაპირო ზოლისა და ზღვის ტერიტორიების 10 % კონსერვაცია უნდა ხორციელდებოდეს ხორციელდება ეფექტური და გონივრული მართვით, ეკოლოგიურად წარმომადგენლობითი და კარგად დაკავშირებული დაცული ტერიტორიების სისტემებით, ტერიტორიის მიხედვით სპეციფიური კონსერვაციული ღონისძიებებით, და ისინი ინტეგრირებული უნდა იყვნენ ფართო სახმელეთო და საზღვაო ლანდშაფტებში

ამავე მთავრობის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ბიომრავალფეროვნების საკითხების სექტორულ და ინტერსექტორულ გეგმებში ჩართვის კიდევ ერთ ეფექტიან ინსტრუმენტს სივრცული დაგეგმვა წარმოადგენს. „სწორედ სივრცული გეგმები განსაზღვრავს თუ სად უნდა განვითარდეს ეკონომიკური საქმიანობა ან ინფრასტრუქტურა. სივრცული დაგეგმვის პროცესი ქმნის სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლების და ასევე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. საქართველოში საჭიროა ამ პროცესის უფრო მეტად განვითარება“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „საჭიროა სივრცული დაგეგმვის დღევანდელი პროცესის ანალიზი და მასში ცვლილებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირება და კონსერვაციულ პროგრამებთან მისი თანხვედრა“. დადგენილების თანახმად, 2016 წლისათვის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სხვა შესაბამისი უწყებებთან ერთად უნდა განხორციელდებინა შემდეგი ქმედება („A.3-01.3): „სივრცული დაგეგმვის შეფასება და მოდიფიკაცია, ამ პროცესში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხების ინტეგრირების მიზნით, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების რუკაზე დატანისა და სისტემური კონსერვაციული დაგეგმვის საშუალებით“.

არსებული პრობლემები და გამოწვევები

საქართველოს მდიდარ ბიომრავალფეროვნებას დეგრადაცია ემუქრება, რის გამოც მისი ტერიტორია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან ორშია (კავკასიის და ირან-ანატოლიის ცხელი წერტილები) შეტანილი. ბიომრავალფეროვნების შემცირების ძირეულ მიზეზს წარმოადგენს მიმტაცებლური და უპასუხისმგებლო ქმედებები, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ბუნებისადმი ზიანის მიყენებას, მოსალოდნელი შედეგების სრული უგულებელყოფის პირობებში; პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და პროგრამებში ბიომრავალფეროვნების ფასეულობები არასაკმარისი ხარისხითაა ასახული, რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები კი არაა დეკვატური და გაუმართავია⁸.

ტრადიციულად, საქართველოში ბიომრავალფეროვნების ძირითად საფრთხედ რესურსების უკანონო მოპოვება, ბრაკონიერება განიხილებოდა. თუმცა, გასული საუკუნის 90-იანი წლებისგან განსხვავებით, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობა პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა, ამჟამად წინა პლანზე ბიომრავალფეროვნების სხვა საფრთხეებმა წამოიწიეს. ინფრასტრუქტურული/განვითარების პროექტების და ნიაღისეულის მოპოვების შედეგად ბიომრავალფეროვნების განადგურებისა და დეგრადაციის ტემპმა გადააჭარბა ისეთ ტრადიციულ საფრთხეებს, როგორცაა ბუნებრივი რესურსების არამდგრადი და უკანონო მოპოვება. ამას განაპირობებს გაუმართავი მმართველობის სისტემა და სათანადო კონტროლის არარსებობა, რომლის შედეგადაც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე სხვა საქმიანობები მდგრადი განვითარების პრინციპების უგულებელყოფით მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების, მილსადენების, შენობა-ნაგებობების, ჰესებისა და კაშხლების მშენებლობა), ნიაღისეულის მოპოვება ღია კარიერული წესით და მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, იწვევს ტყის საფარის კარგვასა და დეგრადაციას. წიაღით სარგებლობა და ენერგეტიკული პროექტები არა მხოლოდ ტყის ეკოსისტემების დეგრადაციას განაპირობებენ. გრძელდება ისეთი ეკოსისტემების/ჰაბიტატების დეგრადაცია, როგორცაა მდინარეები, შავი ზღვა და სანაპირო ზოლი, ბუნებრივი სათიბ-საძოვრები. „ინფრასტრუქტურის განვითარებამ შეიძლება ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მაღალი ფასეულობის მქონე ეკოსისტემების განადგურების საფრთხე შექმნას. ეკოლოგიურ დერეფანში ან სხვა მგრძობიარე ტერიტორიაზე მდებარე ბუნებრივი ჰაბიტატის შედარებით მცირე ფართობის გაკაფვამაც კი, შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი გამოიწვიოს“⁹. მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში პრობლემების გამომწვევ ძირითად მიზეზებად დასახელებულია - სწრაფი გადანყვეტილებების მიღება; არასაკმარისი ინფორმაცია ეკოლოგიური ფასეულობების შესახებ ან მისი უგულებელყოფა; ბუნებრივი ეკოსისტემების განადგურების ეკონომიკური შედეგების გაუთვალისწინებლობა.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს დაცული ტერიტორიების დაარსება წარმოადგენს. დღეისათვის საქართველოში მათი საერთო ფართობი შეადგენს 520,811 ათას ჰექტარს, რაც ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 8,6%-ია (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე

⁸ „საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N343, 08.05.2014 დადგენილებით

⁹ საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020

არსებული ნაკრძალების ჩათვლით)¹⁰. დაცული ტერიტორიების ეს რაოდენობა და ფართობი არ არის საკმარისი ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების დასაცავად. ამასთანავე, საქართველოს დაცული ტერიტორიები პრაქტიკულად იზოლირებული არიან და არ უკავშირდებიან ერთმანეთს ეკოლოგიური დერეფნებით, არ ქმნიან ერთიან ქსელს. ქვეყანაში არსებობს ისეთი სენსიტიური ადგილები და რეგიონები, რომლებიც სადაც კიდევ არ არის შექმნილი არც ერთი დაცული ტერიტორია (მაგალითად, ქვემო და ზემო სვანეთი, მთიანი სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, მთიულეთი). ნაკლოვანია დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა - ის, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ძირითადი ფუნქციის - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების რეალიზებას¹¹.

2016 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ გააკეთა ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე მიმართული გეგმის პრეზენტაცია, რომელიც შემდეგ ოთხ პუნქტს მოიცავს: ეკონომიკური რეფორმა, განათლების რეფორმა, სივრცითი მოწყობა და მმართველობის რეფორმა. ამ ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბურ კომპონენტს „ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტი“ წარმოადგენს¹², რომლის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ მინისტრმა 16 სექტემბერს გააკეთა¹³. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით მთავრობა აპირებს მოახდინოს ქვეყნის ტერიტორიის რაციონალური, მდგრადი და დაბალანსებული დაგეგმვა, სხვადასხვა სექტორის ინტეგრაცია, ასევე რეგიონების კავშირების გაუმჯობესება; მიიღოს ქვეყნისთვის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებელი, ხელი შეუწყოს მინისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას. გეგმის თანახმად, ამ რეფორმის ფარგლებში, უახლოეს 4 წელიწადში განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. უპირველეს ყოვლისა, იგეგმება ახალი „სატრანსპორტო არტერიების“ შექმნა, რომელიც მოიცავს საავტომობილო გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეაბილიტაციას (800 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია, 550 კმ ახალი ავტომარგისტრალის, 300-მდე სახიდე გადასასვლელის და 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა), ასევე ახალი რკინიგზის სადგურების, პორტების და აეროპორტების მშენებლობას. გარდა ამისა, დაგეგმილია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის (გადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურის მიმართულებით) განვითარება, მელიორაციის პროექტების განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალურ გამოყენებაზე და მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე მიმართული პროექტების განხორციელება. გეგმაში ცალკე არის გამოყოფილი **ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების საკითხი. პრეზენტაციის თანახმად, იგეგმება ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოება, რაჭის, სვანეთის და ახალციხის დაცული ტერიტორიების დაარსება. ამის შედეგად დაახლოებით 230 ათას ჰექტარი დაემატება უკვე არსებულ დაცულ ტერიტორიებს.** გეგმაში ყურადღებაა გამახვილებული კურორტებზე (ძველი და ახალი კურორტების განვითარებაზე) და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობასა და ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბებაზე. გეგმის თანახმად, სივრცითი მოწყობის რეფორმის განხორციელების შედეგად, გაძლიერდება ძველი და გაჩნდება სრულიად ახალი ურბანული ცენტრები, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრები“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა მიზნად ისახავს დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული ამ პრობლემის ეტაპობრივად აღმოფხვრას - ახალი დაცული ტერიტორიების და „ზურმუხტის ქსელის“, ეკოლოგიური კორიდორების შექმნისა და სივრცული დაგეგმვის ინსტრუმენტების მეშვეობით. მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმაც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების გაფართოებას და ახალი ეროვნული პარკების ჩამოყალიბებას. თუმცა, დაცული ტერიტორიის სისტემის და „ზურმუხტის ქსელის“ განვითარებასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემები და გამოწვევები შემდეგში მდგომარეობს:

- 2006 -2012 წლებში გაიცა ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივადიანი (20 წლამდე) ლიცენზიები, რომლებმაც საქართველოს ტყეების დაახლოებით 180 ათასი ჰექტარი მოიცვა. ამას არ უძღვოდა ტყის ფართობების სტრატეგიული ზონირება (კატეგორიზაცია), სივრცული დაგეგმვა, რესურსების რაოდენობის, ბიომრავალფეროვნების, სოციალური მნიშვნელობის შეფასება. შედეგად, მოხდა ტყის ტერიტორიების (ე.წ. „ტყის ფონდის“) ფრაგმენტაცია, მაღალი კონსერვაციული დანიშნულების

¹⁰ www.apa.gov.ge

¹¹ საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020

¹² მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოცემული პრემიერ-მინისტრის პრეზენტაციის მიხედვით http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=434&info_id=57765

¹³ სამწუხაროდ, არც 4 პუნქტიანი გეგმა და არც ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტი არ არის რაიმე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი, მით უმეტეს სამართლებრივი აქტით დამტკიცებული. თუმცა, როგორც ტრადიციულად ხდება, ხელისუფლებისთვის ასეთი ტიპის საპრეზენტაციო ფაილები რეალურ სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს ხოლმე.

ტყეების ნაწილი ხე-ტყის დამზადების სალიცენზიო ფართობებში მოექცა; ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ადგილებზე, რომლებიც პოტენციურ დაცულ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ, შეუძლებელი გახდა კონსერვაციული ღონისძიებების გატარება, გაძლიერდა უსისტემო ჭრის წნეხი სალიცენზიო ტერიტორიების გარეთ დარჩენილ ტყეებზე და ა.შ;

- 2007 წელს კანონმდებლობაში გატარებული ცვლილებების შედეგად, წიაღის მოპოვება გათავისუფლდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი ნებართვის აღების ვალდებულებისგან; შესაძლებელი გახდა ღია კარიერული წესით წიაღის მოპოვება ტყით დაფარულ ტერიტორიებზე. აქტიურად მიმდინარეობს წიაღის მოპოვება მდინარეების კალაპოტებში;
- საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ბუმი. დღეისათვის განვითარების სხადასხვა ეტაპზე (მშენებლობა, დაპროექტება, წინასწარი კვლევა, სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულება, ინტერესთა გამოხატვა) იმყოფება 100-ზე მეტი ჰესის პროექტი. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ახალი ელექტროსადგურების დაგეგმვა და მათი აშენების შესახებ ინვესტორებთან ხელშეკრულებების ამ მემორანდუმების გაფორმება ხდება გარემოზე ზემოქმედების ჩატარებამდე, რის გამოც სათანადოდ არ ხდება გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება. მაგალითად, მესტიის რაიონში დაგეგმილი 30-ზე მეტი ჰესიდან ნახევარზე მეტი ხდება დაგეგმილი სვანეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. მათ შორისაა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაზე ყველაზე ძლიერი უარყოფითი ზემოქმედების მქონე პროექტი - მშენებარე ნენსკრა-ჰესი, რომელიც დაგეგმილი სვანეთის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში შენდება¹⁴. დაგეგმილი ჰესები ხელს უშლის სვანეთში „ზურმუხტის საიტების“ დაარსებასაც. მაჭახელას პოტენციური „ზურმუხტის საიტის“ ადგილას ენერგეტიკის სამინისტროს გაფორმებული აქვს მემორანდუმები 2 ჰესის მშენებლობაზე. ამავე მიზეზებით პრობლემურია ეროვნული პარკებისა და „ზურმუხტის ქსელის“ დაარსება ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტერიტორიაზე - რაჭაში;
- ისევე როგორც ელექტროსადგურების შემთხვევაში, ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პროექტების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გარეშე, კონკრეტული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებამდე (მაგ. ფოთის აეროპორტის პროექტი, ანაკლიის პორტი, ლაზიკა, ნავთობის და წიაღის გადამამუშავებელი საწარმოებისა და ავტობანების მშენებლობა და სხვ.). მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არ კეთდება დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, ბუნებრივი სიმდიდრისა და ეკოსისტემური სერვისების ღირებულების გათვალისწინებით;
- ქვეყნის სივრცითი მონყობის პროექტის შემუშავება ძალზე პროგრესული და საჭირო ნაბიჯია. თუმცა მთავრობის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი გეგმა მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს: ყველა პროექტი, ქვეყნის განვითარების მიმართულება ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დაუკავშირებლად არის განხილული. სივრცული დაგეგმვის არსი კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების ერთმა მიმართულებამ არ დააკნინოს და ზიანი არ მიაყენოს სხვა მიმართულებას, ასევე ბუნებრივ და კულტურულ გარემოს¹⁵. „სივრცითი მონყობის პროექტში“ არ არის განხილული/ასახული ისეთი საკითხები, როგორცაა დაგეგმილი და მშენებარე ჰიდროელექტროსადგურები, წიაღის მოპოვების საიტები, ნაგავსაყრელები და სხვ. რომლებიც ეკოსისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დეგრადაციისა და ფრაგმენტაციის გამომწვევი შეიძლება გახდნენ;
- სივრცითი მონყობის პროექტით გათვალისწინებული 280 ათასი ჰექტარზე ახალი ეროვნული პარკების შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არ არის საკმარისი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის და მისი ერთ-ერთი ძირითადი საფრთხის - ჰაბიტატების ფრაგმენტაციის დასაძლევად: დაცული ტერიტორიები კვლავ ერთმანეთისგან იზოლირებული იქნებიან და მათ არ დააკავშირებთ ეკოლოგიური დერეფნები. უფრო მეტიც - მოსალოდნელია, რომ მთავრობის „სივრცითი მონყობის გეგმით“ გათვალისწინებული სატრანსპორტო/სატრანზიტო პროექტების რეალიზაციამ გააძლიეროს ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია.

¹⁴ მსოფლიო ბანკის „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ ფარგლებში მომზადებული ანგარიშის მიხედვით

¹⁵ მაგალითად, ანაკლიის ღრმანყოფილში პორტის მშენებლობა დიდი ალბათობით გამოიწვევს შავ ზღვაში თევზის მარაგების (ქაფშიის) დაქვეითებას, რასაც კვებითი ჯაჭვების დარღვევის შედეგად მოჰყვება მთელი შავი ზღვის ეკოსისტემის დეგრადაცია - დანყებული დელფინების პოლულაციის შემცირებიდან, დამთავრებული და წყალმცენარეების გამრავლების შედეგად ზღვის უტროფიკაციაზე. ეს კი საბოლოო ჯამში უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ეკონომიკის ისეთ დარგებზე, როგორცაა თევზჭერა და ტურიზმი.

როგორ შეიძლება გადაიჭრას არსებული პრობლემები

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ორიენტირებულია სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე, უკვე მიმდინარეობს და მოსალოდნელია ახალი ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული, ასევე ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ხე-ტყისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების პროექტების განხორციელება, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს ბიომრავალფეროვნების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები (საკანონმდებლო, ინსტიტუციური, ტექნიკური და ადამიანური რესურსები და ა.შ.). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია ბუნების (ბიომრავალფეროვნების) დაცვასთან, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული ბევრ ხარვეზს შეიცავს, რომლებიც დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს.

2015 წლის ბოლოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ კომენტარებისა და შემდგომი განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს კანონების „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ და „ტყის კოდექსი“ პროექტები. „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომელიც უკავშირდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას „ფრინველთა კონსერვაციის შესახებ“ და „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ დირექტივების, ასევე CITES¹⁶ მოთხოვნებთან. კანონპროექტით დადგენილია აღნიშნული „ბურმუხტის ქსელში“ ჩართული ტერიტორიის ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების ჩამოყალიბების პროცედურა; ტერიტორიას, რომელსაც ენიჭება „ბურმუხტის ქსელის“ ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტატუსი, შესაძლებელია მიენიჭოს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ეროვნული დაცული ტერიტორიის კატეგორია, თუ კი ის აკმაყოფილებს აღნიშნული კანონით დადგენილ ეროვნული დაცული ტერიტორიის კატეგორიის მინიჭების წინაპირობებს. კანონპროექტით დადგენილია „ბურმუხტის საიტის“ ხელყოფის დაუშვებლობა, ასევე იმ გეგმებისა და პროექტების შეფასების ვალდებულება, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ ამ ტერიტორიებზე.

ტყის კოდექსის პროექტის თანახმად, დაგეგმილია საქართველოს სატყეო კანონმდებლობაში თვისობრივად ახალი მიდგომების შემოტანა. კერძოდ, პროექტის თანახმად, საქართველოს მთელი ტყის ფართობი, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებითა და მართვის ძირითადი მიზნების მიხედვით, დაიყოფა ოთხ კატეგორიად: 1) დაცულ და კონსერვაციულ ტყედ; 2) საკურორტო და სარეკრეაციო ტყედ; 3) დაცვით ტყედ; 4) სამეურნეო ტყედ.

დაცული და კონსერვაციული ტყის მართვის მთავარი ამოცანაა ბიომრავალფეროვნების და იშვიათ ან/და საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემების დაცვა. საკურორტო და სარეკრეაციო ტყის მართვის მთავარი ამოცანაა ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა. სამეურნეო ტყის მართვის მთავარი ამოცანაა ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება და ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება. დაცვითი ტყის მართვის ამოცანაა ტყეების დაცვითი ფუნქციების (მარეგულირებელი ეკოსისტემური სერვისების) შენარჩუნება და გაძლიერება.

კანონპროექტში მოცემული კატეგორიზაცია შეესაბამება „ევროპის ტყეების“ (MCPFE) კლასიფიკაციას¹⁷. კატეგორიზაციის წესი კანონქვემდებარე აქტით უნდა დადგინდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ წესში, საქართველოს ტყის კატეგორიები მაქსიმალურად მიესადაგოს „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაციას, სადაც ტყეები დაჯგუფებული არიან მათი მართვის ძირითადი ამოცანის შესაბამისად. MCPFE-ის თითოეულ კლასს შეესაბამება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორია (გამოიყენება საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსებისა და მართვისას) და ასევე ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორია (გამოიყენება „ნატურა 2000“ და „ბურმუხტის ქსელის“ ტერიტორიების დაარსებისა და მართვისას). ამ კლასიფიკაციის პრინციპი მოცემულია N1 ცხრილში

¹⁶ CITES - „კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“ (1973), საქართველოში ძალაშია 1996 წლის 12 დეკემბრიდან

¹⁷ „ევროპის ტყეების“ კლასიფიკაცია - „ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის“ (MCPFE) - „ევროპის ტყეების“ (Forest Europe), ვენის მეთხუთხე მინისტრიალის მე-4 რეზოლუციით („ევროპის ტყეების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის გაუმჯობესება“) განსაზღვრული ტყეების კლასიფიკაცია. საქართველო ამ საერთაშორისო პროცესში 2002 წლიდან არის განწევრიანებული.

ცხრილი N 1. ტყეების კლასიფიკაცია MCPFE-ის კლასების მიხედვით და მისი შესაბამისობა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) კატეგორიებთან და ტყის კოდექსის პროექტით განსაზღვრულ კატეგორიებთან

MCPFE-ის კლასები / მართვის ძირითადი ამოცანა ¹	EEA	IUCN	ტყის კატეგორია „ტყის კოდექსის“ პროექტის მიხედვით	
კლასი 1: მართვის ძირითადი ამოცანა - ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია	1.1. აქტიური ჩარევის გარეშე	A	I (ნაკრძალი)	დაცული ტყე
	1.2. მინიმალური ჩარევა	A	II (ეროვნული პარკი)	
	1.3. კონსერვაცია აქტიური ჩარევის გზით	A	IV (აღკვეთილი)	
კლასი 2: მართვის ძირითადი ამოცანა - ლანდშაფტებისა და ბუნების კონსერვაციული ელემენტების დაცვა	B	III (ბუნების ძეგლი) V (დაცული ლანდშაფტი) VI (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია)	საკურორტო და სარეკრეაციო ტყე	
კლასი 3: მართვის ძირითადი ამოცანა - დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება	(B)		სამეურნეო ტყე დაცვითი ტყე	

მოცემული სისტემა „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბებისათვის კარგ შესაძლებლობებს ქმნის. საკურორტო/სარეკრეაციო, დაცვითი და სამეურნეო ტყეებში, მართვის ამოცანიდან და გარემო პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაარსდეს „ზურმუხტის საიტები“ და იმართებოდეს შესაბამისი წესით. „ზურმუხტის საიტების“ დაარსება არ წარმოადგენს პრობლემას ხე-ტყის დამზადებისა თუ სამონადორეო მეურნეობების ლიცენზიების მფლობელებზე მიმაგრებულ ტერიტორიებზეც - რა თქმა უნდა, ლიცენზიანტების სურვილის შემთხვევაში. სალიცენზიო პირობებისა და მართვის გეგმების მიხედვით, სალიცენზიო ფართობის 70-80%-ზე ისედაც ვრცელდება სხვადასხვა ღონის დაცვითი რეჟიმი და სამეურნეო საქმიანობა (რესურსების მოპოვება) არ მიმდინარეობს. ეს კი დაახლოებით ჯამში, საქართველოს მასშტაბით, 150 ათას ჰექტარს შეადგენს. ტყის ახალი კატეგორიზაციის სისტემის გამოყენებით „ზურმუხტის საიტების“ დაარსება და „ზურმუხტის ქსელის“ განვითარება შესაძლებელს გახდის სალიცენზიო ფართობებში მოქცეული ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტყეებში კონსერვაციული ღონისძიებების გატარებას. ამავდროულად, ეს გაუადვილებს ლიცენზიანტებს ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების/ვალდებულებების შესრულებას, გაზრდის მათ ცნობადობას და პოპულარიზაციას გაუწევს მათ წარმოებას/პროდუქციას/საქმიანობას. ასევე შესაძლებელი გახდება მოგვარდეს ბიომრავალფეროვნების უმწვავესი პრობლემა - დაცული ტერიტორიების ერთმანეთისგან იზოლირება - „ზურმუხტის ქსელი“ მათი დამაკავშირებელი ეკოლოგიური დერეფნების როლს შეასრულებს. საბოლოო ჯამში, შეიძლება ყველასათვის (სახელმწიფო - კერძო მენარმე - საზოგადოება - გარემო) მომგენიანი სიტუაცია მივიღოთ.

გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის მომზადებულია დოკუმენტაცია ასამდე ახალი ბუნების ძეგლის დაარსების შესახებ; ჯავახეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკების ბუფერული ზონები იმართება, როგორც მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შესაბამისად; მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები კახეთში ბიოსფერული რეზერვატის დასაარსებლად, რომელიც საბოლოო ჯამში თუშეთიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებამდე 200 კილომეტრიანი ზოლი (დაახლოებით - 300-500 ათასი ჰა) უნდა მოიცვას.

ყოველივე ზემოტყმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ სწორი სივრცული დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვის პირობებში, სავსებით რეალისტურია, რომ 2020 წლისათვის ქვეყნის ტერიტორიის არანაკლებ 12% დაფარული იქნეს მაღალი სტატუსის დაცული ტერიტორიებით (არსებული ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, აღკვეთილები და „სივრცითი პროექტის ფარგლებში“ ახალი ეროვნული პარკები). ხოლო დაცვის შედარებით რბილი რეჟიმის გამოყენებით („ზურმუხტის

¹⁸ ტყის მართვის ამოცანების დაწვრილებითი განმარტებისათვის იხ. მწვანე ალტერნატივას პუბლიკაცია

ქსელი“, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები, ბიოსფერული რეზერვატები) განხორციელებულ კონსერვაციული პროექტებთან ერთად, დაცულმა ტერიტორიებმა შესაძლოა საქართველოს სახმელეთო ფართობის 17%-ს მიაღწიონ.

გემოსხენებული საკანონმდებლო ცვლილებები და პროექტები გარემოზე გემოქმედების შეფასების (გზმ) კანონმდებლობის რეფორმასთან ერთად კონტექსტში უნდა განვიხილოთ. გამჭოლი კანონმდებლობის ახალი პროექტი - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ასევე გარემოსა და ბუნერივი რესურსების სამინისტროს მიერ არის მომზადებული¹⁹. ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვნის შემთხვევაში, წიაღის მოპოვება აუცილებლად გაზდება გზმ-ს დაქვემდებარებული საქმიანობა. გზმ ჩატარებამდე აღარ დაიდება ხელშეკრულებები და მემორანდუმები პროექტის განმახორციელებთან. ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სხვა დარგების განვითარების საკითხები სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებას დაექვემდებარება. მნიშვნელოვანია, რომ პროექტების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდეს დანახარჯებისა და სარგებლის შეფასების საფუძველზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

ტყის კოდექსის პროექტში მოცემული ტყეების კატეგორიზაციის სქემა სივრცული დაგეგმვის მაგალითს წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის 40%-ზე ვრცელდება. მისი დამტკიცების, სათანადო კანონქვემდებარე რეგულაციების შემუშავებისა და განხორციელების შემთხვევაში, მოხდება ტყის ეკოსისტემების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შენეება და მაქსიმალური/მდგრადი გამოყენება. არსებული პრობლემებისა და გამონწვევების საპასუხოდ საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. საზოგადოების მონაწილეობით კანონპროექტების „ტყის კოდექსი“ და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საბოლოო დახვეწა, ჰარმონიზება და პარლამენტის მიერ უახლოეს ხანებში დამტკიცება. ასევე საზოგადოების მონაწილეობის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, დამტკიცება და ამოქმედება. ტყეების კატეგორიზაციის განხორციელება;
2. ტყეების კატეგორიზაციის სქემის პრინციპების გავრცელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არა მხოლოდ ტყით დაფარულ 40 %-ზე, მათ შორის მთავრობის „სივრცითი მონეობის პროექტში“;
3. მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმაში (მათ შორის „სივრცითი მონეობის პროექტში“) გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაში მოცემული საკითხები და ქვეყნის სხვა გარემოსდაცვითი ვალდებულებები (მათ შორის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება). აისახოს გარემოზე პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენის მქონე საქმიანობები, როგორცაა ელექტროსადგურების განვითარება, წიაღის მოპოვება-გადამუშავება, ნარცენების განთავსება - მართვა და სხვ;
4. მთავრობის „სივრცითი მონეობის პროექტი“ დღესდღეობით მხოლოდ იდეების ნაკრებს, პრეზენტაციას წარმოადგენს. აუცილებელია ის ჩამოყალიბდეს პროგრამის სახით, რომელიც შემუშავდება საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის №427 (19/08/2015) დადგენილების „საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად.

¹⁹ ამ პროექტთან დაკავშირებული საჯარო პოლიტიკის ნარკვევები იხილეთ მწვანე ალტერნატივას პუბლიკაციებში www.greenalt.org

დანართი 1. ასოცირების შეთანხმებით საქართველომ ივალდებულა ბუნებისდაცვით დირექტივებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხების განხორციელება:

დირექტივა „გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ“

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;
- ფრინველთა იმ სახეობების შეფასება, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს, ასევე ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობების შეფასება;
- ფრინველთა სახეობებისათვის დაცვის სპეციალური არეალების განსაზღვრა და დანესება (მუხლი 4(1));
- რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღება (მუხლი 4(2));
- დაცვის ზოგადი სისტემის შექმნა გარეულ ფრინველთა ყველა სახეობისთვის, რომელთაგანაც სანადირო ფრინველები სპეციალურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება და დატყვევების / მოკვლის გარკვეული ხერხების აკრძალვა (მუხლები 5, 6, 7 და 8 და მუხლი 9(1) და 9(2)).

დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;
- ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ინვენტარიზაცია აღნიშნული ტერიტორიების მითითება და მათი მართვისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა (მუხლი 4);
- მსგავსი ტერიტორიების კონსერვაციისათვის საჭირო ზომების შემუშავება (მუხლი 6);
- საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება (მუხლი 11);
- სახეობების დაცვის მკაცრი რეჟიმის დანესება იმ სახეობებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც ამ დირექტივის IV დანართშია მოცემული, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს მიერ და შეესაბამება ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ზოგიერთ სახეობაზე დანესებულ დათქმებს (მუხლი 12);
- განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოების ზოგადი ინფორმირების უზრუნველსაყოფად მექანიზმის ჩამოყალიბება (მუხლი 22(c)).



ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი გამოიცა მწვანე ალტერნატივას პროექტის – „ევროინტეგრაციის გამონვევები უკეთესი გარემოსდაცვითი მმართველობისათვის“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ და ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2016

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG